საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 585

08 07 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 39-ე მუხლის, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 126[1] მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
4. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.

6. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.

7. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება - არანაკლებ 3 წელი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მართვის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილებით;
- ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე;
- კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point, Outlook) კარგად ცოდნა.

8. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

8.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

8.2. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ";

8.3. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

8.4. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება;

8.5. „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

8.6. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

8.7. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება;

8.8. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

9. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

9.1. ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ხელმძღვანელობა - დაგეგმვა, კოორდინაცია, თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხისა და დროულობის კონტროლი;

9.2. მოქმედი სამართლებრივი აქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა;

9.3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების მიზნით სამსახურის საქმიანობის დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და შესრულების უზრუნველყოფა;

9.4. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების განვითარებისა და განხორციელების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და შესრულების უზრუნველყოფა;

9.5. ზოგადი განათლების ექსპერტთა კორპუსის ფორმირებისა და განათლების პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
9.6. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის განვითარების საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადების უზრუნველყოფა;
9.7. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით საერთშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადების უზრუნველყოფა;
9.8. საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარებისთვის საჭირო სტანდარტების, კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავების უზრუნველყოფა;
9.9. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის საკონსულტაციო მომსახურებისა და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა, მართვა და შესრულების უზრუნველყოფა;
9.10.სამსახურის თანამშრომელთათვის საკითხების დელეგირება, დავალების განაწილება;
9.11.კომპეტენციის ფარგლებში ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების დაგეგმვის უზრუნველყოფა;
9.12.კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
9.13.დირექტორის/დირექტორის მოადგილის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
- პროექტების შესრულებისა და ხელმძღვანელობის უნარი;
- სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ანალიტიკური და სისტემური აზროვნების უნარი;
- ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის უნარი.

11. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1, საკონტაქტო ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

12. კონკურსში მონაწილე პირმა, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში, კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge);

13. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა განაცხადს უნდა დაურთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

14. კონკურსი ჩატარდეს 3 (სამი) ეტაპად:
ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;
ბ) ზეპირი დავალება;
გ) გასაუბრება.

15. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ზეპირი დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე.

16. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

17. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

18. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

19. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე